

სს „საქართველოს რკინიგზის“ სავაგონო დეპარტამენტის  
თბილისის ვაგონების სარემონტო დეპოს ძარისა და  
შიდამოწყობილობების საამქროს (საინვენტარო ნომერი  
2130/2107) დემონტაჟის პროექტი

### **დემონტაჟის სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი**

დამკვეთი: სს „საქართველოს რკინიგზა“

შემსრულებელი : შპს „ჯ.ს.ბ.საქართველო“

საკ/კოდი: 01.12.12.011.028 შენობის ნომერი 04(1)

ქ.თბილისი 2021 წელი

## პროექტის შემადგენლობა:

1. შესავალი
2. სადემონტაჟო მოედნისა და სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება
3. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა.
4. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები
5. მშენებლობის ორგანიზება
6. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები
7. საჭირო მანქანა-მექანიზმები
8. უსაფრთხოების ტექნიკა
9. ნორმატიული ლიტერატურა

### 1. შესავალი

სს „საქართველოს რკინიგზის“ სავაგონო დეპარტამენტის თბილისის ვაგონების სარემონტო დეპოს ძარისა და შიდამოწყობილობების საამქროს დემონტაჟის პროექტი დამუშავებულია შპს „ჯ.ს.ბ.საქართველო“-ს მიერ. (საკ.კოდი 01.12.12.011.028) #04(1)

წინამდებარე „სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი“ დამუშავებულია შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების (სნდაწ) და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:

1. სნ და წ 3.01.01-85\* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“
  2. სნ და წ 1.04.03-85 - „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“
  3. სნ და წ - III-4-80\* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“
- ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის საფუძველზე.

სნ და წ 3.01.01-85\*-ის „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“ მოთხოვნის თანახმად, სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს სამუშაოთა წარმოების პროექტი. აკრძალულია დემონტაჟის დაწყება დამტკიცებული სამუშაოთა წარმოების პროექტის გარეშე.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე დამკვეთმა აუცილებლად უნდა განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა.

## 2. სამშენებლო მოედნისა და ობიექტის დახასიათება

სადემონტაჟო ობიექტი მდებარეობს სწორ რელიეფზე შესაძლებელია ოთხივე მხრიდან ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა. შენობას არ გააჩნია საერთო კედელი სხვა ნაგებობასთან და ერთ მხარეზე გასდევს ხეების ზოლი.

სადემონტაჟო შენობა შედგება ორი ფლიგელისგან, თითოეული ფლიგელი ერთსართულიანია ერთმანეთსთან დაკავშირებულია რკ/ბეტონის ფერმებით. შენობის კედლებად გამოყენებულია თეთრი სილიკატური აგური სისქით 50სმ გადახურვისთვის გამოყენებულია რკ/ბეტონის ანაკრეფი ფილები, რომლებსაც ზემოდან ფარავს ხის მასალა და მოწყობილია თუნუქის ბურული. რკ/ბეტონის ფერმები დაყრდნობილია რკ/ბეტონის კოლონებზე რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია რკ/ბეტონის რიგელებით. ფერმებზეც ისევე როგორც შენობაზე მოწყობილია გადახურვა რკ/ბეტონის ანაკრეფი ფილებით თუნუქის მოპირკეთებით ფანჯრის ბლოკები მოწყობილია ხით და ლითონით, ხოლო კარის ბლოკები ლითონის.

აღნიშნულ შენობა ავარიულ მდგომარეობაში რომლის კედლები დაზიანებულია ხოლო გადახურვის რკ/ბეტონის ფერმები, არამდგრად მდგომარეობაშია, რომელთაგან რამოდენიმე ჩამოვარდნილია და ხოლო დარჩენილი ამჟამად წარმოადგენს სიცოცხლისთვის საშიშ კონსტრუქციას და სასწრაფოდ საჭიროებს დემონტაჟს.

### ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები

სადემონტაჟო კედლების მოცულობა=2830 კუბ.მ  
გადახურვის ანაკრეფი ფილების ფართი=4460 კვ.მ  
თუნუქის ბურულის ფართი=3792 კვ.მ  
შენობის სადემონტაჟო ნაწილის იატაკის ფართი=1270 კვ.მ  
შენობის ფლიგელებს შორის დამაკავშირებელი გადახურული სივრცის ფართი =2152 კვ.მ  
კარის ბლოკების ფართი = 934 კვ.მ  
ფანჯრის ბლოკების ფართი = 146 კვ.მ

## 3. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

დემონტაჟის ხანგრძლივობის ვადებისა და მისი განხორციელების ცალკეული პერიოდების დასადგენად ხელმზღვანელობენ სნ. და წ. 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“; ასევე დამხმარე „სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრა“; აღნიშნული ნორმების გათვალისწინებით ასევე რეალური სიტუაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა დემონტაჟის ხანგრძლივობა 12 კვირის პერიოდით.

მისი დაცვა შესაძლებელია უწყვეტი ფინანსირების პირობებში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს რბილმა და ზომიერმა კლიმატურმა პირობებმა.

კალენდარულ გეგმაზე ობიექტის დემონტაჟის შემოთავაზებული

თანმიმდევრობა რეკომენდირებული ხასიათისაა, მისი კორექტირება

შესაძლებელია სამუშაოთა წარმართვის პროცესში დამკვეთის ნებართვის საფუძველზე.

#### **4. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები**

ა) სადემონტაჟ სამუშაოების დაწყება დაიშვება ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ, სამუშაოები აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის დაბინძურების საწინააღმდეგო პირობების დაცვით.

ბ) გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე იკრძალება ტერიტორიაზე და მის ახლო მდებარე მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების თვითნებურად მოჭრა და გადარგვა.

გ) აკრძალულია სელიტებურ რაიონებში მშენებლობის სიახლოვეს დიდი რაოდენობით ბეტონის ხსნარის შემოზიდვა. ეს საკითხი ორგანიზებულ უნდა იქნას სპეციალური სასაქონლო ზედნადებით და სპეც ტექნიკით (მიქსერებით) ეტაპობრივად საჭიროების და მიხედვით.

დ) დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ჭებში ბეტონის ხსნარის მილსადენის ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სხვა სამშენებლო მასალით.

ე) სადემონტაჟო სამუშაოების შესრულებისას აუცილებელია ფასადს ჩამოეფაროს სპეც ფარდა რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა სპეციალურ სელიტებურ ზონებში.

ვ) სადემონტაჟო სამუშაოების შესრულებისას ყოვლად დაუშვებელია ნაგვის ჩამოყრა ღიად „ ეს უნდა განხორციელდეს სპეციალური კონუსური ფორმის ნაგავსაყრელით და უშუალოდ ავტოთვითმცლელი მანქანის ძარაში.

ზ) გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები ხანძრის თავიდან აცილების მიზნით ამჟამად მოქმედი სანიტარული ნორმების გათვალისწინებით. ასევე გატარდეს შესაბამისი ღონისძიება რათა სამშენებლო ხმაური არ აღემატებოდეს 55 დბ-ს

თ) ასევე გათვალისწინებულ იქნა სამშენებლო ნარჩენების მინიმალიზაცია, ხოლო პოლიმერული ნარჩენები გატანილ იქნას სპეც ნორმების დაცვით.

ი) სამუშაო პროცესში წარმოქმნილი მტვრის თავიდან აცილების მიზნით ტერიტორია ხშირად მოირწყას და გატანილ იქნას მტვრიანი სამშენებლო მასალა დახურული ტენიანი კონტეინერებით, ხოლო მაღალი სართულებიდან ასევე მტვრიანი ნარჩენი შეკრებილ იქნას კონუსური ნაგავმცლელით.

## 5. მშენებლობის ორგანიზება

სადემონტაჟო სამუშაოების პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს არსებული საინჟინრო კომუნიკაციების ჩახსნა და ტერიტორიის შემოღობვა დროებითი ღობით.

შენობის დემონტაჟისთვის უნდა მოხდეს არსებული ვაგონების შესაღები შენობის დამცავი კონსტრუქციის მოწყობა. უნდა გაითხაროს ორმოები მოეწყოს ლითონის სვეტები და გაუკეთდეს წერტილოვანი საძირკვლები, შემდგომ უნდა მოხდეს ლითონის შველერების მოწყობა სვეტებზე და მოეწყოს გადახურვის ხის კონსტრუქცია კოჭის ზომით 10X20სმ, მასზე კი მოეწყოს ხის ფიცრის ფენილი სისქით 5სმ, რათა მოხდეს შენობის დაზიანების თავიდან არიდება.

შემდგომ უნდა მოხდეს შენობიდან არსებული ინვენტარის გამოტანა და დასაწყობება დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე.

შემდეგი ეტაპია არსებული შენობის თუნუქის ფურცლების დემონტაჟი ხელით ხის კონსტრუქციის გათვალისწინებით რომელიც უნდა დასაწყობდეს მიმდებარედ.

პარალელურად უნდა მოხდეს კარისა და ფანჯრის ბლოკების დემონტაჟი ხელით, საიდანაც ლითონის ელემენტები უნდა გადაერჩიოს და დასაწყობდეს.

თუნუქის ფენილისგან გაშიშვლებული რკ/ბეტონის გადახურვის ფილები მოიხსნება ამწის საშუალებით და დაეწყება ტერიტორიის თავისუფალ სივრცეში.

შენობის ფლიგელების დამაკავშირებელ სივრცეში გადახურვის ანაკრეფი ფილების მოხსნის შემდგომ მოიხსნება ლითონის გადახურვის საყრდენი კონსტრუქციები და დასაწყობდება.

ლითონის კონსტრუქციის დაშლის შემდეგ მოიხსნება რკ/ბეტონის ანაკრეფი ფერმები მძიმეწონიანი ამწის საშუალებით. მოხსნილი ფერმები დაიშლება ხელის სანგრევი ჩაქურებით ან მექანიზმებით დაიტვირთება ავტოთვიტმცლელზე და გადაიყრება ნაგავსაყრელზე.

შენობის გადახურვების დემონტაჟის მერე მოხდება აგურის კედლების დემონტაჟი კოდალა ექსკავატორის საშუალებით, შენობის იმ ნაწილში რომელიც არ ექვემდებარება დემონტაჟს დაიშლება ხელით დაზიანებების თავიდან არიდების მიზნით, დემონტირებული მასიდან ხელით გადაერჩევა ვარგისი აგური და დასაწყობდება მიმდებარდ, ხოლო დარჩენილი სამშენებლო ნარჩენები გადაიყრება.

შემდგომ აღნიშნულისა მოიხსნება იატაკები სანგრევი ჩაქურებით და ნარჩენი მასა გადაიყრება.

შენობის საძირკვლები ამოიყრება ექსკავატორის საშუალებით, ავტოთვიტმცლელზე დაიტვირთება შემგომ გატანისთვის.

ამის შემდგომ დაიშლება ვაგონის შესაღები შენობის დამცავი კონსტრუქცია და დასაწყობდება დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე.

ბოლო ეტაპზე მოსუფთავდება ტერიტორია ექსკავატორით ამოივსება საძირკვლები და ზედმეტი სამშენებლო ნარჩენებს გაუკეთდება ტრანსპორტირება ნაგავსაყრელზე.

## 6. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები

**6.1.** შენობა-ნაგებობათა დაშლა-დემონტაჟის სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით.

**6.2.** ქვემოთ ჩამოთვლილია მომქმედი ნორმები და წესები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სამშენებლო ფირმამ დაშლით-სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს:

- სნ და წ 111-18-79 „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“;
- სნ და წ 111-17-78 „ქვის კონსტრუქციები“;
- სნ და წ 111-19-81 „ხის კონსტრუქციები“;
- სნ და წ 111-20-74 „ბურთულები, ჰიდროიზოლაცია, ორთქლიზოლაცია და თბოიზოლაცია“;
- სნ და წ 111-3-14-78 „იატაკები“;
- სნ და წ 111-30-79 „წყალმომარაგება, კანალიზაცია და თბომომარაგება; გარე ქსელები და ნაგებობები“;
- სნ და წ 111-33-79 „ელექტროსამონტაჟო სამუშაოები“;
- სნ და წ 111-4-80 „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“;
- სახანძრო უსაფრთხოების წესები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;
- სნ და წ 1.06.05-85 „მშენებლობისადმი საპროექტო ორგანიზაციების მიერ საავტორო ზედამხედველობა“;

**6.3.** აგრეთვე საჭიროა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული შემდეგი კანონებით ხელმძღვანელობაც:

– გარემოს დაცვის თაობაზე 1996 წელი;

– წყლის გამოყენების შესახებ, 1997 წელი;

– მავნე ქიმიური ელემენტები, მათი კლასიფიკაცია და უსაფრთხოება, 1998 წელი.

– საქართველოს მთავრობის დადგენილება #12.18.243(16.05.2006 წელი) ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სამშენებლო მოედნების მოწესრიგების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის, მიწის გრუნტისა და სხვა სამშენებლო მასალების გადაზიდვის დროს გზის სავალი ნაწილების დაბინძურების აღსაკვეთი ღონისძიების შესახებ.

**6.4.** გარემოს დაცვის შესახებ კანონი განსაზღვრავს ჰაერის დაბინძურების, წყლის დაბინძურების, წყლის ალებისა და ჩაშვების, ნარჩენების უტილიზაციის, ხმაურისა და სხვათა შესახებ საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია დაშლა-სადემონტაჟო სამუშაოთა შესრულების პროცესში.

**6.5.** ასევე კანონით წყლის შესახებ განსაზღვრულია ზედაპირული, მიწისქვეშა და სანაპირო წყლების ალებისა და ჩაშვების ლიცენზიებთან დაკავშირებული საკითხები.

**6.6.** კანონი ატმოსფერული ჰაერის შესახებ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლსა და დაბინძურების შეზღუდვის მეთოდებს, ჰაერის ხარისხიანობის სტანდარტებს და განსაზღვრავს დასაშვებ ზღვრებს სამშენებლო საქმიანობის პირობებში.

**6.7.** მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ კანონი მოიცავს მავნე ნივთიერებათა კლასიფიკაციას და მათი უსაფრთხო მოხმარების საკითხებს. მაგალითად საყოფაცხოვრებო

ნარჩენების გატანა აუცილებელია სპეციალური ბუნკერებით, ხოლო სამშენებლო ნაგავისა დამოკიდებულია სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების მტვერშემცველობაზე. თუ სამშენებლო ნაგავი მთვარის გაბნევის საშიშროებას მოიცავს თვითმცლელ მანქანებზე დაყრის შემდეგ მას აუცილებელია გადაეფაროს საბურავი ბრეზენტისაგან ან მყარი მასალისაგან.

## 7. საჭირო მანქანა-მექანიზმები

სადემონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად რეკომენდირებულია შემდეგი მანქანა მექანიზმების გამოყენება

| # | დასახელება                                                                                                             | მარკა         | რაოდენობა |
|---|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------------|-----------|
| 1 | ავტოთვითმცლელი<br>16ტ                                                                                                  | MAN TGA       | 1         |
| 2 | ექსკავატორი<br>დამტვირთველი                                                                                            | JCB 3CX       | 1         |
| 3 | ამწე 18ტ გაშლა 25მ                                                                                                     | სხვადასხვა    | 1         |
| 4 | კოდალა (მუხლუხა<br>ექსკავატორი)                                                                                        | HYUNDAI Robex | 1         |
| 5 | პნევმატური სანგრევი<br>ჩაქუჩები მოძრავ<br>კომპრესორზე                                                                  | სხვადასხვა    | 1         |
| 6 | სხვადასხვა<br>დანიშნულების ხელის<br>მოწყობილება-<br>ინსტრუმენტები,<br>ნიჩბები, ბარები,<br>ლომები, წერაქვები და<br>სხვ. | სხვადასხვა    | 10        |

## 8. უსაფრთხოების ტექნიკა

ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნ და წ - III-4-80\* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“-ის მოთხოვნების მკაცრი დაცვით, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების მოთხოვნების

მკაცრი დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“, რომელშიც დეტალურად იქნება მოცემული სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები და უსაფრთხოების ღონისძიებები.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შენობის შიგა კომუნიკაციები(დენი,წყალი,კანალიზაცია,გაზი და სხვა) უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან.

ხის ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი წონები,განლაგება და ტექნიკური მდგომარეობა. სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას წარმოშობილი სახიფათო ზონების საზღვრები სადემონტაჟო შენობის კონტურიდან შეადგენს 3,0მეტრს.

დროებითი შემოღობვის მოწყობის საკითხები დეტალურად გადაწყდეს უშუალოდ ადგილზე, დემონტაჟის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ. სადემონტაჟო მოედანი შემოიღობოს დროებითი ღობით.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა სადემონტაჟო მოედნის ტერიტორიაზე და განსაკუთრებით კი დემონტაჟის სახიფათო ზონებში.

დემონტაჟის სახიფათო ზონების მოცემული რადიუსი დაზუსტდეს სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტში ან ადგილზე უშუალოდ სამუშაოთა დაწყების წინ. სახიფათო ზონების საზღვრები აღინიშნოს კარგად დასანახი ნიშნებით.

ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სამუშაოთა წარმოებისას აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების კომპლექტით(უსაფრთხოების ქამრები,რეზინის ფეხსაცმელები, რეზინის ხელთათმანები,ჩაფხუტები და სხვა). აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოებზე მუშათა დაშვება დამცავი ჩაფხუტის,უსაფრთხოების ქამრების,რესპირატორებისა და დამცავი სათვალეების გარეშე. აკრძალულია მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ.

მოქმედი ელ.გადამცემი ხაზების სიახლოვეს მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწყისის საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს სისტემური სწავლება უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში. მხოლოდ ამ სწავლებების შემდეგ არის ნებადართული მათი დაშვება სადემონტაჟო სამუშაოებზე.

ყოველი მომუშავე სამუშაოს წარმოებისას უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე,მოერიდოს სახიფათო ზონებში ყოფნას და სიარულს,დაემორჩილოს ამკრძალავ,გამაფრთხილებელ და მიმითითებელ ნიშნებს. სამუშაოები უნდა სწარმოებდეს უშუალოდ სამუშაოთა მწარმოებლის მეთვალყურეობით.

სამშენებლო ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვითმცლელებით



ნაგავსაყრელზე. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მიღებული უნდა იქნას ზომები და შემუშავდეს ღონისძიებები გარემოსა და გარემომყოფთა დასაცავად მტვრისგან და ხმაურისგან.

## **9. ნორმატიული ლიტერატურა**

**9.** მოპ-ის შედგენისათვის ნორმატიული ბაზა

**9.1.** სნ და წ 3. 0.1 0.1-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“.

**9.2.** სნ და წ 1. 0.4 0.3-85 „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები საცხოვრებელი სახლები მშენებლობაზე“.

**9.3.** მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენის ეტალონი სამხრეთის მთიანი რაიონებისათვის

**9.4.** კრებული-სამახსოვრო „სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები „ამონაკრები მომქმედი სამშენებლო ნორმებიდან და წესებიდან“, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა, თბილისი, 1987 წელი ქართულ ენაზე

**9.5.** სნ და წ III-4-80“ უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე“

**9.6.** ამავე დროს გათვალისწინებულია სნ და წ 3.01.01-85, დანართი 2, პუნქტი 3-ის მოთხოვნა საცხოვრებელ სახლებზე მშენებლობით ათვისებულ რაიონებში მოპ-ის შემადგენლობა და მოცულობის თაობაზე.

სს "საქართველოს რკინიგზის" სავაგონო დეპარტამენტის თბილისის ვაგონების სარემონტო დეპოს მარისა და შიდა მოწყობილობების სამქროს დემონტაჟის კალენდარული გეგმა-გრაფიკი



[illegible]

|              |                                                                                                        |        |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |
|--------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------|--------|--|--|--|--|--|--|--|--|--|--|
| VI<br>ეტაპი  | საძირკვლის დემონტაჟი                                                                                   | 15 დღე |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |
| VII<br>ეტაპი | ტერიტორიიდან სამშენებლო ნარჩენების<br>მოგროვება დატვირთვა ავტოთვითმცლელეზზე<br>და გატანა ნაგავსაყრელზე | 30 დღე |  |  |  |  |  |  |  |  |  |  |


მითითებები:

- 1. თვეში 30 სამუშაო დღეა, გრაფიკში კალენდარული თვე შეიცვალოს სამუშაოთა დაწყების თვის აღნიშვნით თანახმად გაცემული ნებართვისა.
- 2. წარმოდგენილი კალენდარული გეგმით გათვალისწინებულია სამუშაოთა დაწყება-დასრულება, 5 თვის პერიოდში.
- 3. კალენდარულ გრაფიკში გათვალისწინებული სამუშაოები არ ნიშნავს მათ დღეებში გაჭიანურებას. მონიშნულია მათი შესრულების პერიოდები შეყოვნების გათვალისწინებით.
- 4. სამუშაოები აუცილებელია განხორციელდეს შრომის, ელექტრო, ხანძარ-უსაფრთხოებისა და ბუნების დაცვითი ღონისძიებების გათვალისწინებით თანახმად მომქმედი საქარველოს კანონმდებლობისა.
- 5. რეკონსტრუქციის ხანგრძლივობა მიღებულია 5 თვის პერიოდით, 2 რიგი, 7 ეტაპი.
- 6. რეკონსტრუქციის განსაზღვრული ვადის ათვლა განხორციელდება მშენებლობის ნებართვის აღების შემდეგ.
- 7. ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეატყობინოს საჯარო ზედამხედველობის ორგანოს სამუშაოების ეტაპის დასრულების შესახებ 10 დღით ადრე.

# სადემონტაჟო ბენ-ბეგმა



დროებითი ღოგა



## მძაღლიანობა

1. დროებითი ავტოპარკირება
2. ღაცვის ოთახი
3. დროებითი მოხრეშვითი გზა
4. ამჟამად საშუალების ღრმის კლატვორმა
5. არსებული მოცულობები
6. დროებითი ღოგა
7. საპალატო საზღვარი
8. არსებული გზა
9. სადემონტაჟო მოცულობა
10. მოცულობა რომელიც არ ექვემდებარება დემონტაჟს
11. დროებითი საპირფარეო
12. მასალა ნაპითობათა განთავსების ღია სასაწყობო მოედანი
13. საყოფაცხოვრებო ღანძრულუბის ინჟინტარული სათავსი
14. საპარაბო ღანძრულუბის ინჟინტარული სათავსი

## პრობოტი ანოვანები

- |  |  |  |  |                                             |
|--|--|--|--|---------------------------------------------|
|  |  |  |  | დროებითი მოცულობა                           |
|  |  |  |  | დროებითი პარკირება                          |
|  |  |  |  | დროებითი ღოგა                               |
|  |  |  |  | მანქანა-მძღანოების გაღაღბილების მიმართულება |
|  |  |  |  | სახურავზე წყლის გაღსვლის მიმართულება        |
|  |  |  |  | საპალატო საზღვარი                           |